



საქართველო

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

GEORGIA

COUNCIL OF MUNICIPALITY OF

TSALENJIKHA

5200. ქ. წალენჯიხა, კ. სალიას ქ. N5.

5200.k.Salia st. N5, Tsalenjikha,

E-mail. admin@tsalenjikha-Sakrebulo.ge; www. tsalenjikha-Sakrebulo.ge



ქ. წალენჯიხა

16 მაისი 2022 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება N 26

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქალაქ წალენჯიხის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მაიაკოვსკის ქუჩისათვის სახელის გადარქმევის და ვალერი ჭანტურიას სახელის მინიჭების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

1. ქალაქ წალენჯიხის მაიაკოვსკის ქუჩას გადაერქვას სახელი და ეწოდოს - „ვალერი ჭანტურიას ქუჩა“.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ განკარგულებასთან დაკავშირებით 4 თვის ვადაში უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიებების გატარება (აბრების, ფირნიშების და ა.შ დამზადება);
3. ამ განკარგულების შესახებ ეცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, აგრეთვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიას;
4. განკარგულება ძალაშია, გაცნობისთანავე;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. წალენჯიხა, ლალიძის ქ. N12).

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე:  კორნელი სალია

